

ქ. თბილისი

31.10.2017 წელი

2016 წლის 26 დეკემბრის №641 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ერთი მხრივ - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის ზვიად ჭუნაშვილის სახით (შემდგომში "შემსყიდველი")

მისამართი: ქ. თბილისი, ჭოველიძის ქ.№10ა, ტელ: (995 32) 299 10 76.

საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა, კოდი TRESGE22, ა/ა №200122900

საიდენტიფიკაციო კოდი: 203 840 433.  
და  
მეორე მხრივ - სსიპ - "საქართველოს საკანონმდებლო მაცნე"-ს თავმჯდომარის ნიკა ახალბედაშვილის სახით (შემდგომში "მიმწოდებელი").

მისამართი: ქ. თბილისი, გურამ ფანჯიკიძის ქ.№2. ტელ.: 2941645

საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა, კოდი TRESGE22, ა/ა №707407076

საიდენტიფიკაციო კოდი: 203862622.

ვთანხმდებით შემდეგზე:

1. 2016 წლის 26 დეკემბრის №641 ხელშეკრულების მე-12 მუხლის 12.1 და 12.2 პუნქტების საფუძველზე შეტანილ იქნას ცვლილება ამავე ხელშეკრულების მე-7 მუხლის 7.2, მე-16 მუხლის 16.1 პუნქტებში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"7.2. შემსყიდველის მხრიდან ვებ გვერდზე ნორმატიული აქტების გამოქვეყნების შემთხვევაში მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის უფლება ენიჭება იურიდიული დეპარტამენტის პარლამენტთან ურთიერთობის სამმართველოს უფროსს ანა ბუნუკურს."

"16.1 ამ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს შესყიდული მომსახურების ინსპექტირება. შემსყიდველის მხრიდან ინსპექტირებას განახორციელებს იურიდიული დეპარტამენტის პარლამენტთან ურთიერთობის სამმართველოს უფროსი ანა ბუნუკური, რომელიც არ იმყოფება მიმწოდებელთან ინტერესთა კონფლიქტში."

2. ასევე განხორციელდეს ცვლილება მიმწოდებლის რეკვიზიტებში და მისამართად განისაზღვროს ქ. თბილისი, გურამ ფანჯიკიძის ქ.№2.

3. წინამდებარე შეთანხმება ძალაში შედის მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერის დღიდან და წარმოადგენს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და სსიპ - "საქართველოს საკანონმდებლო მაცნე"-ს შორის 2016 წლის 26 დეკემბერს გაფორმებული №641 ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს, შედგენილია ქართულ ენაზე, ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად (ერთი ეგზემპლარი "შემსყიდველს", ერთი ეგზემპლარი "მიმწოდებელს").

შემსყიდველი  
ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი  
ზვიად ჭუნაშვილი

მიმწოდებელი  
სსიპ "საქართველოს საკანონმდებლო მაცნე" თავმჯდომარე  
ნიკა ახალბედაშვილი

შეთანხმებულია იურიდიულ დეპარტამენტთან  
31 10 2017 წ.  
1. ზვანიძე